

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 39 00

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

1.1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა 39 01

განმახორციელებელი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,387.0	18,894.9	26,328.3	139,34	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სამინისტროსთან არსებულმა „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭომ“, (საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით) შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილა სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი, რის საფუძველზეც 56 სპორტულ ორგანიზაციას განესაზღვრა 2016 წლის დაფინანსების ოდენობა.

სამინისტრომ შეიმუშავა სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის სტანდარტები. აღნიშნული დაკავშირებულია სპორტსმენების, კვების, განთავსებისა და სავარჯიშო პირობებთან. სტანდარტები გათვლილია ინდივიდუალურად ყველა სპორტის სახეობისთვის და წარმოადგენს სპორტსმენების მზადების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობას;

დაინერგა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებთან ოფიციალური დოკუმენტგაცვლის მოქნილ გამარტივებულ ფორმას, ამასთან ელექტრონული სისტემა მინიმუმამდე ამცირებს პროგრამის ბენეფიციართა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებულ რისკებს.

სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც უზრუნველყოფს საფეხბურთო ლიგებისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის ამოქმედებას. პროგრამის ფარგლებში მომდევნო 5 წლის განმავლობაში მიზნობრივად დაიხარჯება დაახლოებით 260 მლნ. ლარი, რაც ამ სპორტის სახეობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან ინვესტიციას წარმოადგენს.

შეიმუშავებულ იქნა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, რომელიც დაეგზავნა სპორტულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო უწყებებს შენიშვნებისა და წინადადებების წარმოსადგენად. ამჟამად მიმდინარეობს მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა

მიღწეული საბოლოო შედეგები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი

სპორტისა და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები;

მიზნობრივი მაჩვენებელი

1. „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი;
2. სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის ახალი სტანდარტები;
3. სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების კრიტერიუმები;
4. სპორტული ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. შემუშავებული „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი
2. შემუშავებული სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის სტანდარტები.
3. შემუშავებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების კრიტერიუმები;
4. დანერგილი სპორტული ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა;

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

2.1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები 39 02

განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი

კოლეჯი

ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	73,992.0	91,093.2	90,954.1	99.85	13883.01

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე წელს საქართველომ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს უმასპინძლა, კერძოდ:

- დევისის თასი **ჩოგბურთში**, ევრო/აფრიკული ზონის II ჯგუფის მატჩები;
- ევროპის ქალთა თასი **ხელბურთში**, 19 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის (საქართველოს ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა **მოიპოვა მეორე ადგილი**).
- ევროპის შესარჩევი ელიტ-რაუნდი **ფეხბურთში**, 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- „**რაგბი ევროპის**“ მატჩი რუმინეთის წინააღმდეგ;
- **ძიუდოს** „თბილისის გრან-პრი“ (ქართველმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი)
- ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები **ხელბურთში**, 20 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- მსოფლიო თასის გათამაშება ქალთა **ხელბურთში**;
 - კონტაქტური **კარატეს** ევროპის ჩემპიონატი;

- იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი **ძალოსნობაში**;
- ევროპის თასი **ჯომარდობაში**;
- ქალთა ევროპის ჩემპიონატი **კალათბურთში**, 18 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- ევროპის შესარჩევი ელიტ რაუნდი **ფეხბურთში**, 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
- **მძლეოსნობის** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი;
- ევროპის შესარჩევი მატჩები **კალათბურთში**;
- 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა **ფეხბურთში** საქართველო-ავსტრია;
- მსოფლიო ჩემპიონატი კადეტთა შორის **ჭადრაკში**;
- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი **ფეხბურთში** საქართველო-მოლდოვა;
- ევროპის ჩემპიონატი **ხელბურთში** 18 წლამდელ ვაჟებს შორის;
- ევროპის 2017 წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი **კალათბურთში** საქართველო - ალბანეთი;
- ქ. თბილისის მერიის თასი **კალათბურთში**;
- ევრო 2020, კაცები, პირველი შესარჩევი ეტაპი **ხელბურთში**;
- **რაგბი**, ტესტ-მატჩი საქართველო - იაპონია;
- ევროპის ჩემპიონატი 64 უჯრიან **შაშში**;

ჩამოთვლილი ღონისძიებების ფარგლებში საქართველოში ჩამოვიდა 10 ათასამდე სპორტსმენი და 2 ათასამდე ოფიციალური პირი.

- ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს რიოს ოლიმპიური თამაშების (რიო-2016) 40 ლიცენზია სპორტის 12 სახეობაში. ქართველმა ოლიმპიელებმა რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე მოიპოვეს 7 ოლიმპიური ჯილდო (2 ოქრო; 1 ვერცხლი; 4 ბრინჯარო); რითაც მსოფლიოს 207 ქვეყანას შორის საქართველომ 38-ე ადგილი დაიკავა, ხოლო პარაოლიმპიელებმა მოიპოვეს ერთი ოლიმპიური ოქრო;
- სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში კახეთში, ლოპოტას ხეობაში ჩატარდა საქველმოქმედო საერთაშორისო მსოფლიო რბენა ზურგის ტვინის დაზიანების კვლევების მხარდასაჭერად (Wings for Life World Run);
- სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში დამონტაჟდა 24 ერთ. გარე სავარჯიშო მოწყობილობების კომპლექტი. გარდა ამისა, ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი;
- განხორციელდა სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში“ რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების

წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;

- საანგარიშო პერიოდში სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“ მიიღო 3558 ქართველი და უცხოელი ვიზიტორი; მოეწყო სპეციალური გამოფენები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (რუსთაველის თეატრი) და ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოსა და ქართული სპორტის მუზეუმის თანამშრომლობის ფარგლებში. თბილისის „დინამოს“ მიერ თასების მფლობელთა თასის მოპოვების 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა სარეკლამო-საპრეზენტაციო ბუკლეტი; მუზეუმს შეემატა 800-მდე ახალი ექსპონატი და საარქივო მასალა.
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებს (მასწავლებლის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის და მწვრთნელთა) მიენიჭა აკრედიტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ბაკალავრის სამივე პროგრამაზე მისაღები გამოცდებისთვის სულ დარეგისტრირდა 720 აბიტურიენტი; ამჟამად უნივერსიტეტში 325 სტუდენტია.
- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივმა კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია. დაემატა ახალი სასწავლო ფართი ქალაქ ქუთაისში, სადაც განხორციელდება „მწვრთნელისა“ და „მასაჟის“ სასწავლო პროგრამები. პროგრამების მოთხოვნის მიხედვით შეიქმნა ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩატარდა 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღება; ჩატარდა 2015-2016 წლების პირველის სემესტრის შუალედური და დასკვნითი გამოცდები; დაინერგა და დაიწყო „ბექდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ ახალი მოდულური პროგრამის განხორციელება. დაემატა ახალი „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროგრამა, მეხუთე საფეხური და შემენილ იქნა პროგრამის შესაბამისი ინვენტარი. წარმატებით ჩატარდა 2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო მისაღები გამოცდები;
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში მონაწილე გუნდების საბაზისო, მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;

მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;

ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;

გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა;

საერთაშორისო სტანდარტები სშესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო

სამედიცინო დონის მომსახურებით უზრუნველყოფილი ნაკრებები;

მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგები

სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;
მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
საერთაშორისო სტანდარტები სშესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო
სამედიცინო დონის მომსახურებით უზრუნველყოფილი ნაკრებები;
მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა;

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2015 წელს სპორტის 45 სახეობაში დაფინანსებული 130-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 200-მდე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 170 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში მონაწილეობა
- 2015 წელს სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებული 679 მედალი, მათ შორის 200 ოქრო, 200 ვერცხლი და 279 ბრინჯაო.
- მასობრივი სპორტში ჩართულ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით

წელი	რაოდენობა
2012	33 000 (ოცდაცამეტი ათასა)
2013	44 000 (ორმოცდაოთხი ათასი)
2014	56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი)
2015	68 000 (სამოცდარვა ათასი)

- 2015 წელს საქართველოს რეგიონებში დამონტაჟებული 13 გარე სავარჯიშო მოწყობილობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

- სპორტული შეჯიბრებების (არანაკლებ 200-ისა) სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების (არანაკლებ 250-ისა) და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებში (არანაკლებ 120-ისა) მონაწილეობა კალენდარული გეგმის შესაბამისად;

- სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველმა სპორტსმენების მიერ არანაკლებ 800 სპორტული ჯილდოს (მედლის) მოპოვება;
- მასობრივ სპორტში ჩართულ პირთა რაოდენობა - არანაკლებ 100 000-ის;
- საქართველოს რეგიონებში დამონტაჟებული 24 ერთეული გარე სავარჯიშო მოწყობილობა (პროექტის მიხედვით);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- 2016 წელს სპორტის 48 სახეობაში დაფინანსებული 200-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 250-მდე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 120-მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში მონაწილეობა.
- სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველმა სპორტსმენების მიერ 2016 წლის მონაცემებით მოპოვებული 844 მედალი, მათ შორის 291 ოქრო, 250 ვერცხლი და 303 ბრინჯაო.
- მასობრივ სპორტში 2016 წელს ჩართულ პირთა რაოდენობა - 108 000;
- 2016 წელს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დამონტაჟებული 24 გარე სავარჯიშო მოწყობილობა;

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

3.1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები 39 03

განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევა

						ში)
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,084.0	6,252.3	6,252.2	100.00	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია დანიშნული აქვს 32 ოლიმპიურ ჩემპიონს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით;
- მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 440- მდე ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო ყოველთვიური და ერთჯერადი დახმარება;
- საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენტთა სტიპენდიების ფარგლებში სტიპენდია გაიცა 760 სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე.
- 2016 წელს ამოქმედდა მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამა, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. მხარდაჭერა განსაზღვრულია ყოველთვიური დამატებითი ანაზღაურების სახით. თანხის ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად 50-დან 70 ლარამდე ოდენობით და გამოითვლება საქართველოს მთავრობის N436 დადგენილების შესაბამისად, ლიცენზირებისა და მიღწეული შედეგების შეფასების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში დანამატი გაიცა 173 ბენეფიციარზე.

დასახული საბოლოო შედეგები:

საქართველოში ოლიმპიური ჩემპიონების და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენების, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენების ცხოვრების პირობების და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

ბენეფიციარების გაუმჯობესებული მატერიალური მდგომარეობა და ცხოვრების პირობები;

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

2015 წელს ყოველთვიური სტიპენდია და სოციალური დახმარება გაიცა:

- 31 ოლიმპიურ ჩემპიონზე თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით;
- 360 ვეტერან სპორტსმენსა და სპორტის მუშაკზე;
- 750 მოქმედ სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე.

მიზნობრივი მაჩვენებელი

სტიპენდიების და სოციალური დახმარებების გაცემა:

- 32 ოლიმპიურ ჩემპიონზე თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით;
- 440 ვეტერან სპორტსმენსა და სპორტის მუშაკზე;
- 762 მოქმედ სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე;
- 173 მაღალმთიან რეგიონში დასაქმებულ სპორტის მუშაკზე;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

2016 წელს სტიპენდიები და სოციალური დახმარებები გაიცა:

- 32 ოლიმპიურ ჩემპიონზე თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით;
- 440 ვეტერან სპორტსმენსა და სპორტის მუშაკზე;
- 762 მოქმედ სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე;
- 173 მაღალმთიან რეგიონში დასაქმებულ სპორტის მუშაკზე;

4. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

4.1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები 39 04

განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
 სსიპ – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
 სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	6,537.0	5,389.0	5,321.7	98.75	271.82

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობდა „საერთაშორისო თანამშრომლობის“ (საერთაშორისო კონკურსი - „ალიანტე“), „მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის“, „მოხალისეობის განვითარების“, „რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის“, „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის“, „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის“, არასრულწლოვან და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის“ პროგრამების განხორციელება;

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა „სტუდენტური დღეები - 2016“, სადაც მონაწილეობა მიიღო 50 - მდე უმაღლესი სასწავლებლის 7 000-მდე სტუდენტმა. „სტუდენტური დღეები - 2016“-ის ფარგლებში ჩატარდა სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური შეჯიბრებები;
- განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ჩაატარა პირველი საგრანტო კონკურსი და დააფინანსა 51 პროექტი;
- საანგარიშო პერიოდში პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ანაკლიის მომავლის ბანაკმა 8 ნაკადის ფარგლებში უმასპინძლა 2205 მოსწავლეს და უზრუნველყო მოზარდების აქტიური დასვენება, ხოლო შაორის მომავლის ბანაკმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთობლივი საპილოტე პროექტის ფარგლებში უმასპინძლა 923 წარჩინებულ სტუდენტს. 14-18 წლის მოზარდებისთვის საგანგებო სიტუაციებში ქცევის და სახანძრო უსაფრთხოების წესების პროპაგანდის, კატასტროფის რისკის შემცირების, ასევე ზოგადი ფიზიკური განვითარების მიზნით, საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა პროექტი „მაშველთა კლუბი“ – 30 ბენეფიციარი.
- პროგრამა ახალგაზრდული ფესტივალი 2015-ის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდული ეროვნული ცენტრის მიერ ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის და სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების, ჩართულობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები: „ფანARTი“ (პირველი მრავალჯანრობრივი ფესტივალი, რომელიც აერთიანებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებს), „იცხოვრე სპორტით“, „მინიკალათბურთის ფესტივალი“, „ქუჩის კალათბურთი“, „ქუჩის ფეხბურთი“, „სასკოლო დემოკრატია“, „მოხალისეთა კლუბი“, „გამლიერდი და შეცვალე“ (შშმპ პირთა უფლებები და დაცვის მექანიზმები - სამიზნე ჯგუფი შშმპ ბავშვთა მშობლები), „ცვლილებები თანასწორობისთვის“, „ახალგაზრდული კვირეული“, „ჩვენი თავგადასავალი“ (კონკურსი დამწყები პროზაიკოსებისათვის), CYNC ბრეიქდანსის ახალგაზრდული ფესტივალი“ და მრავალჯანრობრივი მუსიკალური ფესტივალი Soundcheck და სხვა.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 5888.

დასახული საბოლოო შედეგები:

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარება და მხარდაჭერა, მათთვის მოთხოვნადი პროფესიის შერჩევაში დახმარება, მათი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან დიალოგი, არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებაში,

უცხოეთში მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარება, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლება, არაფორმალური განათლება; სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა, ჩართულობა და თანამშრომლობა ;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოხალისეთა ერთიანი ქსელი(გარემოს დაცვითი აქტივობები, საქველმოქმედო საქმიანობა, სპორტული მარათონები და სხვ)
- ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია;
- არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაცია;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული ჟურნალისტიკის განვითარება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალგაზრდობის ხელშეწყობა(ტრენინგება, დასაქმება);
- სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერა;
- შშმ პირთა ინტეგრაცია;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება(კულტურა, გარემოს დაცვა; გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობა)
- სოციალური საწარმოების ამოქმედება და ახალგაზრდების (მათ შორის შშმ ახალგაზრდების) დასაქმება;
- ახალგაზრდებში არაფორმალური განათლება; სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა, ჩართულობა და თანამშრომლობა ;

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

2015 წელს:

- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში 100000-მდე პროგრამების მონაწილე და ბენეფიციარი;
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2015 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 43 პროექტის 5000-მდე პირდაპირი ბენეფიციარი;
- პროგრამა „მომავლის ბანაკის“ 1728 ბენეფიციარი
- პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი – 2015“-ის 4802 ბენეფიციარი;

მიზნობრივი:

- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში არანაკლებ 115000-მდე პროგრამების მონაწილის და ბენეფიციარისა;
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2016 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 51 პროექტის არანაკლებ 5000-მდე პირდაპირი ბენეფიციარისა;
- პროგრამა „მომავლის ბანაკის“ არანაკლებ 3000 ბენეფიციარისა
- პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი – 2016“-ის არანაკლებ 5000 ბენეფიციარისა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში 120000-მდე პროგრამების მონაწილე და ბენეფიციარი (მათ შორის პირდაპირი/უშუალო ბენეფიციარი - 51475);
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2016 წელს დაფინანსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 51 პროექტის 5400 -მდე პირდაპირი 20000 მდე არაპირდაპირი ბენეფიციარი;მათ შორის 2016 წელს დაფინანსებული პროექტების ფარგლებში დასაქმებული 176 პირი;
- პროგრამა „მომავლის ბანაკის“ 3168 ბენეფიციარი;
- პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი – 2016“-ის 6000-მდე ბენეფიციარი;